



თელავის მუნიციპალიტეტის სოფ. შალაურში, ღვინის მარანთან
მისასვლელი საავტომობილო გზის რეაბილიტაციის პროექტი
(საზოგადოებრივი და კერძო სექტორის თანამშრომლობა)

გარემოსდაცვითი სკრინინგი და გარემოზე ზემოქმედების
მართვის გეგმა

რეგიონული განვითარების პროექტი დაფინანსებული
მსოფლიო ბანკის მიერ

ივნისი, 2015

თბილისი

გარემოს დაცვითი სკრინინგი და პროექტის კლასიფიკაცია

აღნიშნული ქვე-პროექტი არის საზოგადოებრივი და კერძო სექტორის თანამშრომლობის საინვესტიციო პროგრამის ნაწილი და ხელს შეუწყობს შპს „შალაურის ღვინის მარნის“ განვითარებას. იგი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთის რეგიონში, თელავის მუნიციპალიტეტში, თელავიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, სოფ. შალაურში. ობიექტზე მისვლა შესაძლებელია თბილისი - თელავის მაგისტრალის მეშვეობით. მანძილი თბილისიდან დაახლოებით 100 კილომეტრია. „შალაურის ღვინის მარანი“ არის ღვინის კომპანია, რომელიც ხელს უწყობს ტურიზმისა და სასოფლო სამეურნეო სექტორის განვითარებას კახეთის რეგიონში. კომპანიის კუთვნილებაში არის 6,4 ჰა ვენახი სოფ. შალაურში. აწარმოებს 15 000 ბოთლ ქვევრის ღვინოს, პირველი სეზონის განმავლობაში მიღებული ჰყავს 80-100 ტურისტი. იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს ტურიზმის განვითარებას კომპანია, ცდილობს წარადგინოს ტრადიციული ქართული ქვევრის ღვინო და დაიკავოს თავისი ადგილი ბაზარზე. ამავ დროს კომპანიას დაგეგმილი აქვს გამოიყენოს ქვევრის ღვინის წარმოება, როგორც საბაზრო ინსტრუმენტი ტურისტების მოზიდვის მიზნით. წარმატებული ბიზნესი შექმნის დამატებით სამუშაო ადგილებს და ხელს შეუწყობს რეგიონის ეკონომიკურ განვითარებას. ამასთანავე დაგეგმილია 40 ოთახიანი სასტუმროს მშენებლობა. ასე, რომ გზის რეაბილიტაცია ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარების გეგმის განხორციელებას.

ქვე-პროექტის მიზანის „შალაურის“ ღვინის მარანთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია. სარეაბილიტაციო გზის სიგრძეა 900 მეტრი.

სარეაბილიტაციო გზა შედგება ორი ნაწილისგან:

- მონაკვეთი I - იწყება სოფ. შალაურის ვაკისუბნის ტერიტორიაზე, აუყვება აღნიშნულ ფერდს სამხრეთ დასავლეთის მიმართულებით, და მთავრდება პკ 7+20-ში ღვინის მარნის შესასვლელთან. მონაკვეთის სიგრძე 0.72 კმ-ია.
- მონაკვეთი II - პკ 6+10-ზე I მონაკვეთს, კვეთს ფერდს ჩრდილო დასავლეთის მიმართულებით და მთავრდება პკ 1+80-ზე. მონაკვეთის სიგრძე 180 მ-ია.

გზის რეაბილიტაციის სამუშაოები მოიცავს შემდეგ სამუშაოებს:

- სამი ელექტროგადამცემი ბოძის გადატანა,
- გზის ვაკისის მოწყობა;
- გზის საფარის აღდგენა ასფალტო-ბეტონის საფარით და მისაყრელი გვერდულების მოწყობა,
- ბეტონის კიუვეტების მოწყობა (219 მ),
- ლითონის მილების მოწყობა (23 მ),
- მიერთებებისა და ეზოებში შესასვლელების მოწყობა.

ზეგავლენის შეფასება

<p>აქვს თუ არა ქვე-პროექტს საგრძნობი ზემოქმედება გარემოზე?</p>	<p>ქვე-პროექტს ექნება მცირე მოკლევადიანი ზეგავლენა გარემოზე, ხოლო მისი გრძელვადიანი გავლენა იქნება პოზიტიური.</p>
<p>რა არის პროექტის მნიშვნელოვანი სასარგებლო და არასასურველი ზეგავლენა გარემოზე</p>	<p>ქვეპროექტს გრძელვადიანი დადებითი ზეგავლენა ექნება გარემოზე, გაუმჯობესდება რა საგზაო მოძრაობის პირობები. შემცირდება სოფელში/მის გავლით მოძრავი სატრანსპორტო საშუალებებით გამოწვეული მტვრის, გამონახოლქვისა და სმაურის წარმოქმნა.</p> <p>მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება გარემოზე სავარაუდოდ მოკლევადიანი იქნება და სოფლის ლანდშაფტზე მცირე, საშუალო მასშტაბის სარეაბილიტაციო სამუშაოებთან იქნება დაკავშირებული: სამშენებლო ტექნიკით გამოწვეული ხმაური, მტვერი, ვიბრაციები და გამონახოლქვი; ნარჩენების წარმოქმნა.</p> <p>გზის დატვირთვის რისკის შემცირების მიზნით ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ბეტონის კიუვეტებისა და ლითონის მილების მოწყობა.</p> <p>ტროტუარების მოწყობა არ არის დაგეგმილი ვინაიდან გზა გადის ძირითადად დაუსახლებელ ადგილებზე. გზის მხოლოდ პირველი მონაკვეთი გადის მოსახლეობის ეზოებს შორის.</p> <p>გზის სივიწროვისა (საშუალოდ დაახლოებით 6.7 მეტრი) და კერძო კუთვნილებაში არსებულ საცხოვრებელ სახლებს შორის მისი მდებარეობის გამო ვერ ხერხდება ტროტუარის მოწყობა იძულებითი განსახლების გარეშე, რაც არ არის მიზანშეწონილი არც ფინანსური და არც სოციალური თვალსაზრისით.</p>
<p>შესაძლებელია თუ არა რომ ქვეპროექტს რაიმე მნიშვნელოვანი ზეგავლენა ჰქონდეს ადგილობრივ თემსა და ზეგავლენის ქვეშ მყოფ პირებზე?</p>	<p>სამშენებლო პერიოდის დროს მტვერთან, გამონახოლქვთან, ხმაურთან და ვიბრაციებთან, მოძრაობისა და ფეხით მოსიარულთათვის მისაწვდომობის დროებით შეფერხებასთან დაკავშირებული მცირე უარყოფითი ზემოქმედება სავარაუდოდ მოკლევადიანი იქნება, რაც</p>

	<p>დამახასიათებელია სოფლის ლანდშაფტზე მცირე, საშუალო მასშტაბის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის.</p> <p>ელექტრობომბების გადატანის დროს მოხდება ელექტროდენის მიწოდების შეწყვეტა ადგილობრივი მოსახლეობისათვის. აღნიშნული სამუშაო დაკავშირებულია გარკვეულ რისკებთან, რომელთა თავიდან ასაცილებლად სამუშაოები განხორციელდება წინასწარ დადგენილ დროში, პერსონალის უსაფრთხოების წესები იქნება მკაცრად დაცული და განხორციელდება მკაცრი კონტროლი.</p> <p>საგზაო მოძრაობის გაუმჯობესებული პირობებით გამოწვეული გრძელვადიანი ზემოქმედება მომგებიანი იქნება ადგილობრივი მოსახლეობისთვის და სტუმრებისათვის. სასუნთქი ორგანოების დაავადებათა რიცხვი შემცირდება.</p>
--	--

(B) შემარბილებელი ღონისძიებები

<p>რა ალტერნატივები იყო გათვალისწინებული ქვეპროექტის პროექტირებისათვის?</p>	<p>იმის გათვალისწინებით რომ ქვეპროექტი არსებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას ითვალისწინებს, სხვა ალტერნატივები განხილული არ იყო.</p>
<p>რა სახის შემარბილებელი ღონისძიებებია შეთავაზებული?</p>	<p>სამშენებლო ფაზის დროს მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების შერბილება ადვილად შესაძლებელია თუ მოხდება სამშენებლო მოედნის დემარკაცია, მოძრაობის მართვა, სამშენებლო ტექნიკის სათანადო ექსპლუატაცია და მოვლა, დადგენილი სამუშაო საათების დაცვა და ნარჩენების ორგანიზებულად გატანა ოფიციალურად შეთანხმებულ ადგილებზე.</p>
<p>წინა პროექტებიდან მიღებული რა სახის გამოცდილების გაერთიანება მოხდა ქვეპროექტის დაპროექტებისას?</p>	<p>მგვ-ს სხვადასხვა დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული გზებისა და ქუჩების რეაბილიტაციის საშუალო და ფართომასშტაბიანი ქვეპროექტების განხორციელების დიდი გამოცდილება გააჩნია. წინა პროექტებიდან მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით, პროექტი ითვალისწინებს არა მხოლოდ გზის საფარის რეაბილიტაციას, არამედ კიუვეტების მოწყობას სანიაღვრე წყლებისათვის, რაც ხელს შეუწყოს გზის საფარის შენარჩუნებას.</p>

<p>ქვე-პროექტის მომზადებისას იყვნენ თუ არა ჩართულნი დაინტერესებული თემები და იყო თუ არა მათი ინტერესები და ცოდნა სათანადოდ გათვალისწინებული?</p>	<p>შალაურის მოსახლეობა ინფორმირებულია გზის რეაბილიტაციის სამუშაოების შესახებ და არ აქვთ პრეტენზია დროებით შემაწუხებელ ფაქტორებთან დაკავშირებით.</p> <p>მუნიციპალური განვითარების ფონდისა და გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყებამდე ჩატარებულ იქნა საკონსულტაციო შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობასთან, სადაც განხილულ იქნა ქვე-პროექტისათვის მომზადებული გარემოსდაცვითი მართვის ღონისძიებების გეგმა. შეხვედრა ჩატარდა სოფ. შალაურში., 2015 წლის 12 ივნისს.</p>
--	---

(C) კატეგორიზაცია და დასკვნა

სკრინინგის შედეგებზე დაყრდნობით,

ქვეპროექტი კლასიფიცირდება როგორც კატეგორია

- A
- B
- C

გარემოზე ზედამხედველობის შეფასების სკრინინგის დასკვნა:

- 1. ქვეპროექტი უარყოფილია
- 2. ქვეპროექტი მიღებულია

თუ მიღებულია, რისკების შეფასებაზე დაყრდნობით, ქვეპროექტის მომზადება მოითხოვს:

- 1. მცირე მასშტაბიანი სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოების გარემოსდაცვითი მენეჯმენტის კითხვარის შევსება
- 2. გარემოსდაცვითი მიმოხილვა, გარემოსდაცვის მართვის გეგმის შემუშავების ჩათვლით

სოციალური სკრინინგი

ინფორმაცია სოციალური უსაფრთხოების ზომების სკრინინგის შესახებ		დიახ	არა
1	ინფორმაცია ქვეპროექტების ობიექტების მფლობელობის და კუთვნილების სტატუსის შესახებ არის ხელმისაწვდომი და სარწმუნო? (სკრინინგი ვერდასრულდება ზემოხსენებულის მოპოვებამდე)	✓	
2	შეზღუდავს თუ არა პროექტი ხალხისათვის მათი ეკონომიკური რესურსების ხელმისაწვდომობას, როგორცაა მიწა, საძოვრები, წყლის რესურსები, კომუნალური სამსახურები ან სხვა რესურსები, რომელზეც ისინი დამოკიდებულნი არიან?		✓
3	პროექტის შედეგად მოსალოდნელია თუ არა ინდივიდების ან ოჯახების განსახლება, ან არსებობს თუ არა მიწის შესყიდვის საჭიროება (სახელმწიფო ან კერძო, დროებით ან მუდმივად) მშენებლობისათვის?		✓
4	მოჰყვება თუ არა პროექტს შედეგად მოსავლის, ხეხილის და სამეურნეო ინფრა-სტრუქტურის (როგორცაა: ბელეები, ეზოს ტუალეტები და სამზარეულოები) დროებითი ან მუდმივი დაკარგვა?		✓
<p>თუკი ზემოხსენებულ რომელიმე კითხვაზე (გარდა შეკითხვისა 1) პასუხი დადებითია, მაშინ გამოყენებული უნდა იქნას OP/BP 4.12 იძულებითი განსახლება და შემამსუბუქებელი ზომები უნდა განხორციელდეს ამ OP/BP 4.12 და განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად</p>			
5	საჭიროებს თუ არა პროექტის მიწის სამუშაოების წარმოებას ისტორიული, არქეოლოგიური ან კულტურული ძეგლების მახლობლად?		✓
<p>თუ პასუხი კითხვაზე 5 დადებითია, მაშინ გამოყენებული უნდა იქნას OP/BP 4.11 ფიზიკური კულტურული რესურსები, მოულოდნელი აღმოჩენის შემთხვევაში და შემთხვევით მოპოვებული მასალების მართვა უნდა განხორციელდეს OP/BP –სა და გარემოსდაცვითი ღონისძიებების ჩარჩო დოკუმენტში წარმოდგენილი შესაბამისი პროცედურების შესაბამისად.</p>			

ნაწილი A: ზოგადი ინფორმაცია პროექტისა და საპროექტო ტერიტორიის შესახებ

ინსტიტუციონალური და ადმინისტრაციული საკითხები			
ქვეყანა	საქართველო		
ქვე-პროექტის და სახელება	თელავის მუნიციპალიტეტის სოფ.შალაურში, ღვინის მარანთან მოსასვლელი საავტომობილო გზის რეაბილიტაციის პროექტი.		
ქმედებების მოცულობა ქვე-პროექტის ფარგლებში	<p>ქვეპროექტი ითვალისწინებს „შალაურის“ ღვინის მარანთან მისასვლელი გზის რეაბილიტაციას. სარეაბილიტაციო გზის საერთო სიგრძე 900მ-ია.</p> <p>სარეაბილიტაციო გზა შედგება ორი ნაწილისგან:</p> <ul style="list-style-type: none"> • მონაკვეთი I - იწყება სოფ. შალაურის ვაკისუბნის ტერიტორიაზე, აუყვება აღნიშნულ ფერდს სამხრეთ დასავლეთის მიმართულებით, და მთავრდება პკ 7+20-ში ღვინის მარნის შესასვლელთან. მონაკვეთის სიგრძე 0.72 კმ-ია. • მონაკვეთი II - პკ 6+10-ზე I მონაკვეთს, კვეთს ფერდს ჩრდილო დასავლეთის მიმართულებით და მთავრდება პკ 1+80-ზე. მონაკვეთის სიგრძე 180 მ-ია. <p>გზის რეაბილიტაციის სამუშაოები მოიცავს შემდეგ სამუშაოებს:</p> <ul style="list-style-type: none"> - სამი ელექტროგადამცემი ბოძის გადატანა, - გზის ვაკისის მოწყობა; - გზის საფარის აღდგენა ასფალტო-ბეტონის საფარით და მისაყრელი გვერდულების მოწყობა, - ბეტონის კიუვეტების მოწყობა (219 მ), - ლითონის მილების მოწყობა (23 მ), - მიერთებებისა და ეზოებში შესასვლელების მოწყობა. <p>გზის ვაკისის მოწყობისათვის მიწის სამუშაოების შედეგად მოხდება 2099 კუბ.მ გრუნტის ექსკავაცია.</p>		
ინსტიტუციონალური ორგანიზება (მსოფლიო ბანკი)	<table border="0" style="width: 100%;"> <tr> <td style="width: 50%;"> <p>ჯგუფის ხელმძღვანელი: შაოლან ვანგი</p> </td> <td style="width: 50%;"> <p>უსაფრთხოების სპეციალისტები: დარეჯან კაპანაძე (გარემოს დაცვა) ნინო მეტრეველი (სოციალური საკითხები)</p> </td> </tr> </table>	<p>ჯგუფის ხელმძღვანელი: შაოლან ვანგი</p>	<p>უსაფრთხოების სპეციალისტები: დარეჯან კაპანაძე (გარემოს დაცვა) ნინო მეტრეველი (სოციალური საკითხები)</p>
<p>ჯგუფის ხელმძღვანელი: შაოლან ვანგი</p>	<p>უსაფრთხოების სპეციალისტები: დარეჯან კაპანაძე (გარემოს დაცვა) ნინო მეტრეველი (სოციალური საკითხები)</p>		

<p>განხორციელების ორგანიზება (მსესხებელი)</p>	<p>განმახორციელებელი ერთეული:</p> <p>მუნიციპალური განვითარების ფონდი</p>	<p>სამუშაოთა ზედამხედველი:</p> <p>JV Steget (Italy) & Estia (Italy)</p>	<p>სამუშაოთა კონტრაქტორი:</p> <p>შპს „სერპანტინი“</p>
<p>ტერიტორიის აღწერა</p>			
<p>ინსტიტუტის დასახელება, რომლის საკუთრების რეაბილიტაციაც არის დაგეგმილი</p>	<p>სოფ. შალაური, თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობა მისამართი: ერეკლე მეორე ქ. #16, ვებ-გვერდი: http://telavi-temi.ge</p> <p>ქვეპროექტი მდებარეობს თელავის მუნიციპალიტეტის სოფ. შალაურში (კახეთის რეგიონი, აღმოსავლეთი საქართველო). თბილისიდან სამუშაოთა წარმოების ადგილამდე მისასვლელი გზა - თბილისი-თელავის გზატკეცილია. მანძილი თბილისიდან დაახლოებით 100 კმ-ია.</p>		
<p>ვინ არის მიწის ნაკვეთის მფლობელი? ვინ არის მოსარგებლე (ოფიციალურად/არაოფიციალურად)</p>	<p>მუნიციპალური საკუთრება</p>		
<p>ფიზიკური და ბუნებრივი გარემო</p>	<p>შალაურის თემი მდებარეობს თელავის მუნიციპალიტეტის ცენტრალურ ნაწილში და იკავებს ვიწრო განედურ ზოლს ქალაქ თელავსა და კისისხევის თემს შორის. თემის ჩრდილოეთ ნაწილი მდ.ალაზნის მარჯვენა ნაპირს ესაზღვრება, სადაც თემის სასოფლო-სამეურნეო მიწებია განლაგებული. შალაურის თემი შედგება სოფელ შალაურისგან, რომელიც უშუალოდაა დაკავშირებული ქალაქ თელავთან. საღვარი მათ შორის პირობითია. მანძილი ქალაქ თელავიდან 3კმ-ს არ აღემატება.</p> <p>ტერიტორია მდებარეობს გომბორის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. სოფლის ფართობი, სასოფლო სამეურნეო სავარგულების ჩათვლით 1329 ჰექტარია. მოსახლეობა - 3000 ადამიანი.</p> <p><u>ჰავა.</u> საქართველოს კლიმატური დარაიონების მიხედვით, ტერიტორია მიეკუთვნება II კლიმატური რეგიონის IIb სუბრეგიონს. საშუალო ტემპერატურა იანვარში და ივლისში შესაბამისად -5C დან -2C-მდე, და +21C-დან +25C-მდე ფარგლებშია. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 802მმ-ია.</p> <p><u>ჰიდროლოგია.</u> რეგიონის მდინარეულ ქსელს</p>		

შეადგენენ ალაზნის მარჯვენა შენაკადები, რომლებითაც დრენირებულია ქედის ჩრდილო-აღმოსავლური კალთები (მდ.. თურდო, ვარდისუბნის ხევი, მაცანცარა, თელავის რიყე, ხრუკიასხევი, სვიანაანთხევი, სალმიანისხევი და კისისხევი. სოფ.შალაურს კვეთს - შალაურის ხევი და სვიანაანთ ხევი. უმოკლესი მანძილი გზის სარეაბილიტაციო უბნიდან ზედაპირული წყლის ობიექტამდე ობიექტიდან 0.15m.

გეოტექტონიკური დარაიონების სქემის მიხედვით საკვლევი უბანი მოქცეულია დიდი კავკასიონის სამხრეთ ფერდის ნაოჭა სისტემის აღმოსავლეთ ზონის, ყინვალი-გომბორის ქვეზონაში.

საქართველოს საინჟინრო-გეოლოგიური დარაიონების რუკის მიხედვით, საკვლევი ტრასა გადის საქართველოს ბელტის აღმოსავლეთ დაპირვის ოლქის, ნეოგენის ზღვიური და კონტინენტური ნახევრადკლდოვანი და პლასტიკური ნალექების რაიონის ფარგლებში.

სახიფათო პროცესები.

საშიში პროცესები. ტერიტორიაზე აღინიშნება ღვარცოფული პროცესები. შალაურის ხევის ხეობა, რომელიც სოფელზე გადის, ღვარცოფსაშიში ტერიტორიაა; მის დინებაში განვითარებული ღვარცოფული ნაკადები საფრთხეს უქმნიან მოსახლეობის საცხოვრებელ სახლებსა და საკარმიდამო ნაკვეთებს. ღვარცოფული ნაკადები საფრთხეს უქმნის სოფლის წყალმომარაგების მთავარ მაგისტრალს, ეზოს ტერიტორიებსა და მიმდებარე ქუჩებს და სოფელში მდებარე ორ ეკლესიას. სოფლის ჩრდილოეთ ნაწილში შალაურის ხევის კალაპოტი დაბზარულია, რიც შედეგადაც ღვარცოფული ნარჩენები აზიანებს სასოფლო-სამეურნეო მიწებს. სვიანაანთ ხევი, რომელიც სოფლის ცენტრალურ ნაწილში გადის, ასევე ღვარცოფსაშიში მდინარეა.

უარყოფითი გეოდინამიური პროცესები გზის გაყოლებით არ შეიმჩნევა. თუ არ ჩავთვლით დროებითი ხევებისა და ღარების ეროზიულ მოქმედებას და ამ ხევებიდან გამოტანილი ელუვიურ დელუვიური მასალით კიუვეტებისა და

	<p>წყალგამტარი მილების შევსების საშიშროებას.</p> <p><u>კულტურული მემკვიდრეობა.</u> სოფელში 6 ისტორიული ძეგლია (სვეტიცხოველის, წმ. ბარბარეს, წმინდა გიორგის, წმინდა მარიამის, წმ. კვირიკეს და კვირაცხოველის სახელობის ეკლესიები).</p>
<p>მასალების, მათ შორის ინერტული მასალისა და წყლის მიწოდების წყაროების მდებარეობა და დაშორება ქვე-პროექტის განხორციელების ადგილიდან</p>	<p>ინერტული მასალის (ქვიშა, ხრეში) უახლოესი წყაროები - მდებარეობა ტერიტორიიდან 2 კმ დაშორებით. სამხრეთ-დასავლეთი მიმართულებით და 4კმ მანძილზე სამხრეთ-აღმოსავლეთი მიმართულებით. სასმელი და ტექნიკური წყლის მოპოვება შესაძლებელია წყალმომარაგების სისტემიდან.</p>
<p>კანონმდებლობა</p>	
<p>ეროვნული და ადგილობრივი კანონმდებლობა და ქვე-პროექტის ქმედებების განხორციელებისათვის საჭირო ნებართვები</p>	<p>მსოფლიო ბანკის პოლიტიკისა და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტის თანახმად ქვე-პროექტი კლასიფიცირდა, როგორც B კატეგორიის პროექტი. ქვე-პროექტი მიღებულია ახმეტის მუნიციპალიტეტის მიერ.</p> <p>საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობა არ საჭიროებს გარემოსდაცვით შეფასებას, დამტკიცებას ან ნებართვას. თუმცა ეროვნული კანონმდებლობის თანახმად:</p> <ul style="list-style-type: none"> ა) აუცილებელია კონტრაქტორი იყოს ლიცენზირებული, ბ) სამშენებლო მასალები მოწოდებულ იქნას ლიცენზირებული მომწოდებლებისგან; გ) კონტრაქტორი ვალდებულია აიღოს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია ინერტული მასალის მოპოვებისათვის (თუ თავად გადაწყვეტს მოპოვებას, ნაცვლად შეძენისა); დ) კონტრაქტორი ვალდებულია აიღოს ასფალტის ქარხნის გარემოზე ზემოქმედების ნებართვა, თუ ასფალტს აწარმოებს თავად (ნაცვლად შეძენისა), ასევე, კონტრაქტორი ვალდებულია მოამზადოს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონალური წყაროს ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში ბეტონის კვანძისათვის და შეათანხმოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან, თუ ბეტონს აწარმოებს თავად (ნაცვლად შეძენისა);

	<p>ე) მიწის სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი ინერტული სამშენებლო ნარჩენები (მოჭრილი მიწა, სედიმენტები) განთავსების ადგილი კონტრაქტორის მიერ წერილობით უნდა შეთანხმდეს ადგილობრივი მუნიციპალიტეტის გამგეობასთან;</p> <p>ვ) სამშენებლო ნარჩენები უნდა განთავსდეს უახლოეს მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე ოპერატორთან ხელშეკრულების საფუძველზე. .</p> <p>სამუშაოების დროს სათანადოდ უნდა იყოს გათვალისწინებული გარემოსდაცვითი, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მოთხოვნები, დაცული უნდა იქნეს GOST და SNIP ნორმები.</p>
საჯარო კონსულტაცია	
<p>სად და როდის ჩატარდა/ჩატარდება საჯარო კონსულტაცია?</p>	<p>ქვე-პროექტისათვის მომზადებული გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმა სამუშაოების დაწყებამდე განხილულ იქნა სოფ. შალაურის მოსახლეობასთან საკონსულტაციო შეხვედრაზე, რომელიც ჩატარდა სოფ. შალაურში 2015 წლის 12 ივნისს (ოქმი თანდართულია დოკუმენტზე).</p>
დანართები	
<p>დანართი 1: ტერიტორიის რუკა და ფოტომასალა დანართი 2: საკადასტრო ინფორმაცია დანართი 3: საჯარო განხილვის ოქმი დანართი 4: შეთანხმება ნარჩენების განთავსების თაობაზე, სხვა ლიცენზიები და ნებართვები, (იქნება წარმოდგენილი)</p>	

ნაწილი B: ინფორმაცია გარემოსდაცვითი უსაფრთხოების შესახებ

გარემოსდაცვითი/სოციალური სკრინინგი			
მოიცავს თუ არა ქვე-პროექტი რომელიმე მითითებულ ქმედებას/საკითხს?	ქმედება/საკითხი	სტატუსი	შემარბილებელი ღონისძიებები
	A. შენობის რეაბილიტაცია	<input checked="" type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა	იხილეთ ქვემოთ - ნაწილი A
	B. ახალი მშენებლობა	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხილეთ ქვემოთ - ნაწილი A
	C. ნარჩენი წყლების გადამუშავების ინდივიდუალური სისტემა	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხილეთ ქვემოთ - ნაწილი B
	D. ისტორიული შენობ(ებ)ა და რაიონები	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხილეთ ქვემოთ - ნაწილი C
	E. მიწის შექმენა ¹	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხილეთ ქვემოთ - ნაწილი D
	F. საშიში ან ტოქსიკური მასალები ²	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხილეთ ქვემოთ - ნაწილი E
	G. ზემოქმედება ტყეებზე და/ან დაცულ ტერიტორიებზე	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხილეთ ქვემოთ - ნაწილი F
	H. სამედიცინო ნარჩენების დამუშავება/ მენეჯმენტი	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხილეთ ქვემოთ - ნაწილი G
	I. სატრანსპორტო და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება	<input checked="" type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხილეთ ქვემოთ - ნაწილი H

¹მიწის შესყიდვა მოიცავს ადამიანთა გადასახლებას, საცხოვრებელი პირობების შეცვლას, კერძო საკუთრებაში არსებული ქონების შელახვას - ეს ეხება მიწებს, რომელიც შექმნილი/გადაცემულია და ამ ქმედებას გააჩნია ზემოქმედება იმ ადამიანებზე, რომლებიც ცხოვრობენ ან/და სახლობენ ან/და აწარმოებენ ბიზნესს (სავაჭრო ერთეულებს) შექმნილ მიწაზე.

²ტოქსიკური/ საშიში მასალები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი მასალებით: აზბესტი, ტოქსიკური საღებავები, მავნე ზემოქმედების მქონე გამხსნელები, ტყვიის შემცველი საღებავის მოშორება და ა.შ.

ნაწილი C: შემარბილებელი ღონისძიებები

ქმედებები	პარამეტრი	ზემოქმედების შემამცირებელი ღონისძიებები საკონტროლო ჩამონათვალი
<p>0. ზოგადი პირობები</p>	<p>ინფორმირება და უსაფრთხოება</p>	<p>a. ინფორმაცია დაგეგმილი სამუშაოების შესახებ მიწოდებულია ადგილობრივი სამშენებლო და გარემოს დაცვის ინსპექციებისათვის და თემისათვის;</p> <p>b. ადგილობრივი მოსახლეობა ინფორმირებულია დაგეგმილი სამუშაოების შესახებ მედიაში და / ან საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომ ადგილებში (სამუშაოების განხორციელების ადგილის ჩათვლით) შესაბამისი შეტყობინების განთავსების გზით;</p> <p>c. მიღებულია მშენებლობისათვის და/ ან რეაბილიტაციისათვის საჭირო ყველა ნებართვა;</p> <p>d. კონტრაქტორი აცხადებს ოფიციალურ თანხმობას, რომ სამუშაოები განხორციელდება უსაფრთხო და მოწესრიგებული გზით, მიმდებარე ტერიტორიაზე მოსახლეობასა და გარემოზე მინიმალური ზემოქმედების უზრუნველსაყოფად;</p> <p>e. მუშათა პირადი დამცავი აღჭურვილობა შესაბამისობაში იქნება საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასთან (სამუშაოების შესრულების დროს მუშებს უნდა ეხუროთ ჩაფხუტები, საჭიროების შემთხვევაში ეკეთოთ ნიღბები, დამცავი სათვალე, უსაფრთხოების ქამრები და ჩექმები);</p> <p>f. მუშათა ინფორმირების მიზნით უსაფრთხოების ძირითადი წესები და რეგულირებები განთავსებული უნდა იქნეს შესაბამის მაჩვენებლებზე სამუშაოთა განხორციელების ადგილებზე.</p>
<p>A. ზოგადი სარეაბილიტაციო და / ან სამშენებლო ქმედებები</p>	<p>ჰაერის ხარისხი</p>	<p>a. ნგრევის შედეგად მიღებული ნამსხვრევების შენახვა უნდა მოხდეს კონტროლირებად ადგილზე და დაინამოს წყლით მტვრის შესამცირებლად;</p> <p>b. პნევმატური ბურღით ნგრევის პროცესში მტვრის წარმოქმნა და გავრცელება შეზღუდული უნდა იქნეს წყლით დანამვით და/ან მტვრის საწინააღმდეგო ეკრანების გამოყენებით;</p> <p>c. მტვრის შემცირების მიზნით ნარჩენების დაყრა არ უნდა მოხდეს მიმდებარე ტერიტორიებზე;</p> <p>d. არ უნდა მოხდეს სამშენებლო ნარჩენების დაწვა;</p> <p>e. არ უნდა იქნეს ნებადართული სატრანსპორტო საშუალებების და მანქანა-დანადგარების უქმი სვლა;</p> <p>f. სამშენებლო მასალები/ნარჩენები ტრანსპორტირების დროს უნდა იქნეს დაფარული/დატენიანებული მტვრის წარმოქმნის შემცირების მიზნით.</p>
	<p>ხმაური</p>	<p>a. ხმაური უნდა შემცირდეს სამუშაოების განხორციელების დროითი ლიმიტების დაწესებით;</p> <p>b. ოპერირებისას გენერატორების, ჰაერის კომპრესორებისა და სხვა მექანიკური დანადგარების ძრავის საფარები დახურული უნდა იყოს, ამასთან დანადგარები მაქსიმალურად შორს უნდა განთავსდეს საცხოვრებელი ტერიტორიებიდან;</p>

ქმედებები	პარამეტრი	ზემოქმედების შემამცირებელი ღონისძიებები საკონტროლო ჩამონათვალი
		<ul style="list-style-type: none"> c. სატრანსპორტო საშუალებებმა უნდა იმოდროან წინასწარ შეთანხმებული მარშრუტით; d. უნდა განისაზღვროს სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის მაქსიმალური ნებადართული სიჩქარე; e. უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სატრანსპორტო საშუალებებისა და მანქანა დანადგარების სათანადო მოვლა და შესაბამისი ტექნიკური კონტროლი; f. არ უნდა იქნეს ნებადართული სატრანსპორტო საშუალებების და მანქანა-დანადგარების უქმი სვლა; გამოყენებული უნდა იქნეს მაცუჩები.
	წყლის ხარისხი	<ul style="list-style-type: none"> a. კონტრაქტორს მოეთხოვება მოაწიოს მასალების დასაწყობების ადგილი, რომელიც დაცული უნდა იქნეს წარეცხვისაგან ძლიერი წვიმის ან დატბორვის დროს წყალგაუმტარი მასალით. b. გატარებული უნდა იქნეს სედიმენტების კონტროლის ღონისძიებები როგორცაა თივის შეკვრებისა და/ ან ლამის მესერის მოწყობა, რაც ხელს შეუშლის სედიმენტების სამშენებლო ტერიტორიიდან ჩარეცხვას ახლომდებარე წყლის ობიექტში. c. მიწის სამუშაოებისა და ნიადაგისა და გრუნტის დროებითი დასაწყობების ადგილების მოწყობისას მინიმუმამდე უნდა იქნეს შემცირებული წარეცხვის საფრთხე; d. მანქანა-დანადგარები და სატრანსპორტო საშუალებები უნდა შემოწმდეს რეგულარულად, რათა არ ხდებოდეს ზეთებისა და საწვავის დაღვრა. უნდა ხორციელდებოდეს მანქანა-დანადგარებისა და სატრანსპორტო საშუალებების სათანადო მოვლა, ისე რომ მინიმუმამდე იქნეს შემცირებული დაღვრების საფრთხე. სატრანსპორტო საშუალებების შემოწმება უნდა ხდებოდეს ყოველდღიურად სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში შესაბამისი საფარით და საწრეტით. მანქანების სადგომი და შეკეთების ადგილები დაშორებული უნდა იქნეს წყლის ობიექტიდან მინიმუმ 50 მეტრით. e. ზეთები, გამსხნელები და საწვავი შენახული უნდა იქნეს გამოყოფილ ადგილებში შესაბამისი საფარით და საწრეტით. სამშენებლო მოედანზე ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაღვრის შემთხვევაში შემკავებელი მასალები (სორბენტები, ქვიშა, ნახერხი). f. არ უნდა მოხდეს ცემენტის ან ბეტონის ნარჩენების ჩარეცხვა ნებისმიერ წყლის ობიექტში.
	ნარჩენების მართვა	<ul style="list-style-type: none"> a. სამშენებლო საქმიანობიდან მოსალოდნელი ყველა მნიშვნელოვანი ტიპის ნარჩენისათვის გამოყოფილი უნდა იქნეს დროებითი და საბოლოო განთავსების ადგილები; b. ინერტული სამშენებლო ნარჩენები გამოცალკევებული უნდა იქნეს სხვა ნარჩენებისგან (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ინერტული სამშენებლო ნარჩენების უნდა განთავსდეს სპეციალურად გამოყოფილ ადგილას, ხოლო სხვა სახის ნარჩენები უნდა შეინახოს სპეციალურ კონტეინერებში; c. უნდა იწარმოებოდეს და ინახებოდეს დოკუმენტაცია ნარჩენების საბოლოო განთავსების

ქმედებები	პარამეტრი	ზემოქმედების შემამცირებელი ღონისძიებები საკონტროლო ჩამონათვალი
		<p>თაობაზე, რათა შესაძლებელი იყოს სათანადო მართვის დასაბუთება;</p> <p>d. შესაძლებელია შესაბამისი ნარჩენების ხელახლა გამოყენება და რეციკლირება (გარდა აზბესტისა).</p>
	მასალების მიწოდება	<p>a. გამოყენებული უნდა იქნეს ინერტული მასალის არსებული კარიერები, რომლებზეც გაცემულია შესაბამისი ლიცენზია;</p> <p>b. ინერტული მასალის ახალი კარიერის ამოქმედების შემთხვევაში კონტრაქტორმა უნდა მოიპოვოს შესაბამისი ლიცენზია;</p> <p>c. ინერტული მასალის კარიერი ან მისი გამოყენებული ნაწილი უნდა იქნეს აღდგენილი ან სათანადოდ დახურული თუ ლიცენზიის მოქმედების ვადა ამოწურულია ან ინერტული მასალის მოპოვება დასრულებულია;</p> <p>d. მასალების ტრანსპორტირება არ უნდა მოხდეს პიკის საათებში.</p>
H სატრანსპორტო საშუალებებისა და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება	სამშენებლო საქმიანობის სახიფათო პიდაპირი ან არაპირდაპირი ზემოქმედება საზოგადოებრივ ტრანსპორტზე და ფეხით მოსიარულებზე	<p>ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად კონტრაქტორი უზრუნველყოფს, რომ სამშენებლო ტერიტორია შესაბამისად დაცულია და მშენებლობასთან დაკავშირებული ტრანსპორტის ოპერირება რეგულირებულია. ეს მოიცავს მაგრამ არ არის ლიმიტირებული შემდეგით:</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ განთავსებული უნდა იქნეს მოძრაობის გამაფრთხილებელი ნიშნები, ბარიერები და ტრანსპორტის მარშრუტის ცვლილების ნიშნები. საზოგადოება გაფრთხილებული უნდა იყოს ყველა შესაძლო საშიშროების შესახებ; ▪ უნდა ჩამოყალიბდეს მოძრაობის მართვის სისტემა და ჩატარდეს თანამშრომელთა ტრენინგი, განსაკუთრებით ტერიტორიაზე შესვლასა და ტერიტორიის მახლობლად მძიმე ტექნიკის გადაადგილების შესახებ. ფეხით მოსიარულეთათვის უნდა მოეწყოს უსაფრთხო გადასასვლელები იმ ადგილებში, სადაც მოძრაობს სამშენებლო ტექნიკა; ▪ სამუშაო საათები შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი ადგილობრივი ტრანსპორტის მოძრაობის განრიგთან, მაგ: ინტენსიური გადაზიდვები არ უნდა განხორციელდეს ტრანსპორტის ინტენსიური მოძრაობის პერიოდში ან მსხვილფეხა პირუტყვის გადაადგილების საათებში; ▪ ტრანსპორტის მოძრაობა უნდა იმართებოდეს დატრენინგებული თანამშრომლების მიერ; ▪ გზის რეაბილიტაციის სამუშაოების დროს ფეხით მოსიარულეებს არ უნდა შეიზღუდოთ მისასვლელი მაღაზიებთან, საცხოვრებელ სახლებთან; ▪ მოწყობილი უნდა იქნეს სიჩქარის შემზღუდავი ბარიერები და განთავსდეს შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნები (ვიწრო გზა) ადგილობრივ საპატრულო პოლიციასთან შეთანხმებით.

ნაწილი D: მონიტორინგის გეგმა

ქმედება	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/ პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
მშენებლობის ფაზა						
ელექტროგადამცემი ხაზების ბოძების გადატანა	სერვისის მომხმარებლებს უნდა ეცნობოს შესაძლო გათიშვის შესახებ, ხოლო გათიშვები შემოისაზღვროს განსაზღვრული მინიმალური საათებით; ელექტრო კაბელებთან და კომუნიკაციების მილებთან მუშობის დროს მკაცრად უნდა იქნას დაცული პირადი უსაფრთხოების წესები	სამშენებლო მოედანი	ვიზუალური დათვალიერება	კომუნიკაციების შეცვლის დროს	ადგილობრივი თემებისათვის შემაწუხებელი ფაქტორების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით; მუშების ჯანმრთელობის დაზიანებისა და სამუშაო ადგილზე უბედური შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით	მგვ, მშენებლობის ზედამხედველი
სამშენებლო მასალების მიწოდება	სამშენებლო მასალების შექმნა მხოლოდ ოფიციალურად დარეგისტრირებული მომწოდებლებისაგან	მომწოდებლის ოფისში, ან საწყობში	დოკუმენტების შემოწმება	მოწოდების კონტრაქტების გაფორმებისას	ინფრასტრუქტურის ტექნიკური მდგრადობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით	მგვ, მშენებლობის ზედამხედველი

ქმედება	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/ პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
<p>სამშენებლო მასალების და ნარჩენების ტრანსპორტირება;</p> <p>სამშენებლო მექანიზმების გადაადგილება</p>	<p>სატრანსპორტო საშუალებების და მექანიზმების ტექნიკური მდგომარეობა;</p> <p>სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების გადაზიდვა დახურული მანქანებით;</p> <p>ტრანსპორტირებისათვის განკუთვნილი დროისა მარშრუტების დაცვა.</p>	<p>სამშენებლო ტერიტორია</p>	<p>ინსპექტირება</p>	<p>გაუფრთხილებელი ინსპექტირება როგორც სამუშაო, ასევე არა სამუშაო საათებში</p>	<p>მიწისა და ჰაერის ემისიებით დაბინძურების შემცირება;</p> <p>ხმაურით და ვიბრაციით ადგილობრივი მოსახლეობის შეწუხების შეზღუდვა;</p> <p>ტრანსპორტის მოძრაობის დარღვევის მინიმუმამდე შემცირება.</p>	<p>მგფ, მშენებლობის ზედამხედველი, საპატრულო პოლიცია</p>


ქმედება	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/ პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
მიწის სამუშაოები	<p>ამოღებული გრუნტის დროებითი დასაწყობება წინასწარ განსაზღვრულ და შეთანხმებულ ტერიტორიებზე;</p> <p>ამოღებული გრუნტის უკუჩაყრა და/ან განთავსება ოფიციალურად გამოყოფილ ტერიტორიებზე;</p> <p>შემთხვევითი აღმოჩენების შემთხვევაში, სამუშაოების დაუყოვნებლივი შეწყვეტა, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინფორმირება და სამუშაოების განახლება მხოლოდ სამინისტროსგან წერილობითი თანხმობის მიღების შემდეგ.</p>	სამშენებლო ტერიტორია	ინსპექტირება	მიწის სამუშაოების მიმდინარეობის დროს	<p>სამშენებლო და მისი მიმდებარე ტერიტორიის სამშენებლო ნარჩენებით დაბინძურების თავიდან აცილება</p> <p>ფიზიკური და კულტურული რესურსების დაზიანების და დაკარგვის თავიდან აცილება</p>	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი

ქმედება	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/ პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
ინერტული მასალების წყარო	<p>მასალების შექმნა არსებული, ლიცენზირებული მომწოდებლებისაგან, თუ ეს შესაძლებელია; ან სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მიღება კონტრაქტორის მიერ და ლიცენზიის პირობების მკაცრი დაცვა;</p> <p>კარიერების დაყოფა ტერასებად, დამუშავებული ადგილების რეაბილიტაცია და ლანდშაფტთან ჰარმონიზება;</p> <p>მდინარის კალაპოტიდან ხრეშისა და ქვიშის ექსკავაცია, ხრეშის დამცავი ბარიერების მოწყობა ექსკავაციის ტერიტორიასა და წყლის ნაკადს შორის, ტექნიკის შესვლის აკრძალვა წყლის ნაკადში.</p>	ინერტული მასალის კარიერები	დოკუმენტებისა და სამუშაოების ინსპექტირება	ინერტული მასალის მოპოვების პერიოდში	<p>ეროზიის შემცირება და ეკოსისტემებისა და ლანდშაფტების დეგრადირების მინიმუმაცია;</p> <p>სედიმენტებით წყლის დაბინძურების, ასევე ჰიდრობიონტა საარსებო პირობების დარღვევის შემცირება.</p>	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
სამშენებლო სამუშაოები	<p>სამუშაოების წარმოება ხდება დღის საათებში;</p> <p>ტექნიკა და მოწყობილობა ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაშია და არ ხდება ძრავების უქმი სვლა;</p> <p>პერსონალი აღჭურვილია და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებს ატარებს.</p>	სამშენებლო მოედანი	ვიზუალური დათვალიერება	პერიოდულად; პრეტენზიების შემთხვევაში.	<p>ადგილობრივი თემებისათვის შემაწუხებელი ფაქტორების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით;</p> <p>გარემოს მინიმალური დაბინძურების მიზნით;</p> <p>პირადი უსაფრთხოებისათვის</p>	მგფ, სამშენებლო სამუშაოთა ზედამხედველი

ქმედება	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/ პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა	სამშენებლო ნარჩენების დროებითი შენახვა სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში; ნარჩენების დროული განთავსება ოფიციალურად გამოყოფილ ადგილებში.	სამშენებლო ტერიტორია; ნარჩენების განთავსების ტერიტორია	ინსპექტირება	პერიოდულად მშენებლობის პროცესში და პრეტენზიების შემთხვევაში	სამშენებლო და მის მეზობლად მდებარე ტერიტორიების მყარი ნარჩენებისაგან დაბინძურების თავიდან აცილება	მგვ, მშენებლობის ზედამხედველი
ტრანსპორტის მოძრაობის დარღვევა და ფეხით მოსიარულეთა მიმოსვლის შეზღუდვა	სატრანსპორტო მოძრაობის შეზღუდვის/მოძრაობის მიმართულების შეცვლის ნიშნების განთავსება; ტრანსპორტის მოძრაობის გეგმის შემუშავება და სწორად განხორციელება (გზაზე სამუშაოების მიმდინარეობის, მოძრაობის შეფერხების ნიშნების დაყენება, მედროშეების მიერ მოძრაობის რეგულირება); სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების დროებითი განთავსება ისე, რომ თავიდან იქნას აცილებული სატრანსპორტო საცობები მისასვლელ გზებზე.	სამშენებლო და მიმდებარე ტერიტორიები	ინსპექტირება	სამშენებლო სამუშაოების პერიოდში	სატრანსპორტო შემთხვევების თავიდან აცილება; ადგილობრივი მოსახლეობის შემფოთების შემცირება	მგვ, მშენებლობის ზედამხედველი, საპატრულო პოლიცია

ქმედება	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/ პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
მუშების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	<p>მუშების ფორმებით და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით აღჭურვა;</p> <p>მუშების და პერსონალის ინფორმირება მექანიზმებთან/აღჭურვილობასთან მუშაობისას ინდივიდუალური უსაფრთხოების წესების და ინსტრუქციების შესახებ; და ასევე აღნიშნული წესები/ინსტრუქციების მკაცრი დაცვა</p>	სამშენებლო ტერიტორია	ინსპექტირება	გაუფრთხილებელი შემოწმება სამუშაოების მსვლელობისას	უბედური შემთხვევების თავიდან აცილება	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
ოპერირების ფაზა						
აღდგენილი გზის მონაკვეთის მოვლა	<p>სიჩქარის შემზღუდავი ბარიერების და საგზაო ნიშნების მოვლა-შენარჩუნება;</p> <p>გზის შეკეთებითი სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი ინერტული ნარჩენების, ასფალტის განთავსება გამოყოფილ ნაგავსაყრელზე.</p>	რეაბილიტირებული გზა	ინსპექტირება	მოვლა-შენარჩუნების სამუშაოების წარმოების დროს	საგზაო უბედური შემთხვევებისა და მოძრაობის შეფერხების თავიდან აცილება	თელავის მუნიციპალიტეტი


დანართი






Legend

	EXISTING
	UNLATERAL CONTROL ZONE REVERSED COLORED BUFFER
	CONTROL ZONE REVERSED COLORED BUFFER
	UNLATERAL STRIP The line
	UNLATERAL STRIP Design Phase
	CONTROL POINTS BY New Data



	MUNICIPALITY OF SAKGRAMETI ROAD DEPARTMENT Road No. 1 Road No. 1 Road No. 1	No. 1-1 Scale: 1:1000
	Road No. 1 Road No. 1 Road No. 1	Sakgrametionote



	შპს „საქსტრასკონსტრუქციის ექსპერტიზა“ შპს „საქსტრასკონსტრუქციის ექსპერტიზა“		№ 12
	შედგენილია ავტომატურად და არის დადგენილი საფრთხის ნიშნები შედგენილია ავტომატურად და არის დადგენილი საფრთხის ნიშნები შედგენილია ავტომატურად და არის დადგენილი საფრთხის ნიშნები		1:500 შკალა 1:500
სახელი (ს/სა №) სახელი (ს/სა №) სახელი (ს/სა №)	სახელი (ს/სა №) სახელი (ს/სა №) სახელი (ს/სა №)	„საქსტრასკონსტრუქციის ექსპერტიზა“ „საქსტრასკონსტრუქციის ექსპერტიზა“	

12 ივნისი, 2015 წელი

ქ. თელავი, საქართველო

საჯარო განხილვის ოქმი

რეგიონული განვითარების პროექტი

თელავის მუნიციპალიტეტის სოფ. შალაურში, ღვინის მარანთან

მისასვლელი გზის რეაბილიტაციის ქვე-პროექტის გარემოსდაცვის

მართვის გეგმის საჯარო განხილვა

2015 წლის 12 ივნისს სოფ. შალაურის ტერიტორიული ორგანოს წარმომადგენლის ოფისში ჩატარდა ღვინის მარანთან მისასვლელი გზის რეაბილიტაციის ქვე-პროექტის გარემოსდაცვის მართვის გეგმის საჯარო განხილვა. შეხვედრა მიზნად ისახავდა ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებას ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოების, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი უარყოფითი/დადებითი ზეგავლენის და მათი თავიდან აცილების გზებისა და საშუალებების შესახებ.

შეხვედრას ესწრებოდნენ შალაურის ტერიტორიული ორგანოს წარმომადგენლები: მაია ბახტურიძე - სოფ. შალაურის ადმინ. ერთეულის სპეციალისტი, ალექსი ძამუკაშვილი ადმინ. ერთეულში გამგებლის წარმომადგენელი, მიხეილ მამალაშვილი სოფ. შალაურის ადმინ. ერთეულის სპეციალისტი, ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლები: კახა ნადირაძე, ზაქრო ხუციშვილი, ომარ ჯოხაძე, სევასტი წიგნაძე, ლევან გოგოჩიძე, ალექსი ოთიაშვილი, მარუსა ჯავახიშვილი - შალაურის საჯარო სკოლის დამლაგებელი, ხათუნა ძამუკაშვილი - სოფ. შალაურის სკოლის პედაგოგი, მშენებელი კონტრაქტორის წარმომადგენელი - გიორგი ჯეჯილაშვილი,

საზედამხედველო კომპანია „სტეგეტის“ წარმომადგენელი - კახაბერ ჯანგულაშვილი

მუნიციპალური განვითარების ფონდის წარმომადგენლები:

ნინო პატარაშვილი - გარემოსდაცვითი უსაფრთხოების სპეციალისტი;

ნონა ჭიჭინაძე - სოციალური და გენდერული საკითხების სპეციალისტი;

შეხვედრაზე ნინო პატარაშვილმა დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა ინფორმაცია ქვე-პროექტის მიზნებისა და პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების შესახებ. მან ისაუბრა შეხვედრის მიზნების შესახებ და საზოგადოებას წარუდგინა ქვე-პროექტისათვის მომზადებული სოციალური და გარემოსდაცვითი მართვის გეგმა. მოკლედ აუხსნა საზოგადოებას მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული ქვე-პროექტების სოციალური და გარემოსდაცვითი სკრინინგის პროცედურები და სოციალური და გარემოსდაცვითი მოთხოვნები მოცემული პროექტისათვის, მიმოიხილა ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოები, ამ სამუშაოების განხორციელებისას მოსალოდნელი სოციალური და გარემოსდაცვითი ზეგავლენა არსებულ გარემოზე და ის ძირითადი ღონისძიებები, რომელთა გატარებაც აუცილებელია სავარაუდო უარყოფითი ეფექტების თავიდან ასაცილებლად ან მათ შესარბილებლად. მან აღნიშნა, რომ გარემოსდაცვითი გეგმა არის მშენებელ კონტრაქტორთან გაფორმებული ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი და კონტრაქტორს ევალება ზედმიწევნით შეასრულოს გეგმით განსაზღვრული ღონისძიებები. ნ. პატარაშვილმა შეხვედრის მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია საკონტაქტო პირების შესახებ, ვისთანაც საზოგადოებას საშუალება აქვს დაუკავშირდეს და საკუთარი მოსაზრება დააფიქსიროს გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებული რაიმე სახის უკმაყოფილების წარმოშობის შემთხვევაში.

ნ. ჭიჭინაძემ ისაუბრა პროექტის სოციალური და გენდერული ზეგავლენის შესახებ, აღნიშნა ის სარგებელი, რაც შესაძლოა მიიღოს მოსახლეობამ, კერძოდ კი შეეხო დროებითი და მუდმივი სამუშაო ადგილების შექმნის პერსპექტივას, უსაფრთხოების და ჯანმრთელობის საკითხებს, ისაუბრა ქალთა დასაქმებაზე. პროექტის მნიშვნელობაზე მცირე ბიზნესისა და ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ საზოგადოებას საშუალება მიეცა გამოეთქვათ საკუთარი აზრი ან/და დაესვათ კითხვები წარდგენილ საკითხებთან დაკავშირებით, შეხვედრის მონაწილეების მიერ დასმული იქნა შემდეგი შეკითხვები:

შეკითხვები და შენიშვნები	პასუხები და კომენტარები
მიეცემა თუ არა ადგილობრივ მოსახლეობას დასაქმების საშუალება?	მშენებელი კონტრაქტორის წარმომადგენელმა საზოგადოებას განუმარტა, რომ, რომ სამშენებლო სამუშაოებზე დასაქმდებიან კომპანიის ის სპეციალისტები, რომელთაც აქვთ

	სამშენებლო ტექნიკაზე მუშაობის გამოცდილება და შესაბამისი კვალიფიკაცია. რაც შეეხება არაკვალიფიციურ მუშახელს, კომპანია სიამოვნებით დაასაქმებს ადგილობრივ მოსახლეობას.
<i>რამდენად იქნება შესაძლებელი სანიაღვრე არხების მოწყობა?</i>	მიიღეს განმარტება, რომ ეს სცილდება წარმოდგენილი ჯგუფის კომპეტენციას.


შეხვედრის დასასრულს ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებმა გამოხატეს დადებითი დამოკიდებულება პროექტის განხორციელების მიმართ და გამოთქვეს იმედი, რომ გზის რეაბილიტაცია დასრულდება დროულად.

შეხვედრის ფოტომასალა და შეხვედრაზე დამსწრეთა სარეგისტრაციო ფურცელის ასლი თანდართულია.

ოქმი მომზადებულია საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის სოციალური და გენდერული საკითხების სპეციალისტის ნონა ჭიჭინაძის მიერ.

12 ივნისი, 2015.

ფოტოები





დამსწრეთა სია

რეგიონული განვითარების პროექტი

თელავის მუნიციპალიტეტის სოფ. შალაურში, ღვინის მარანთან მისასვლელი
საავტომობილო გზის რეაბილიტაციის ქვე-პროექტი

გარემოს დაცვის მართვის გეგმის საჯარო განხილვა

12 ივნისი 2015 წელი

შეხვედრაზე დამსწრეთა რეგისტრაციის ფურცელი

	სახელი, გვარი	ორგანიზაცია	საკონტაქტო ინფორმაცია	ხელმოწერა
1.	შაია ბახუჩიძე	ს. შაატუის ადგილობრივი თემის საკრებულო	598 24 09 35	
2.	აფხა დემეტრე	ს. შაატუის ადგილობრივი თემის საკრებულო	599 98 90 82	
3.	მისიერ მამუკაძე	ს. შაატუის ადგილობრივი თემის საკრებულო	598 54 33 25	
4.	ჯანა ნარიაძე	ს. შაატუის ადგილობრივი თემის საკრებულო	599 512 392	
5.	ზაქო ხუციშვილი	ს. შაატუის ადგილობრივი თემის საკრებულო	599 68 17 66	
6.	ოდის ჯონხიძე	ს. შაატუის ადგილობრივი თემის საკრებულო	- - -	

7.	ձեռքի ֆոտոստանդարտ	Ե. Ձարյանի կողմից մշակված		Բ. Բաբայան
8.	կապի ձեռքի ֆոտոստանդարտ	Ե. Ձարյանի կողմից մշակված	555 68 53 15	Ե. Բաբայան
9.	զանգի ֆոտոստանդարտ	Ս. Ս. Կարամյանի կողմից մշակված	597 48 64 00	Յ. Փլույ
10.	սևի ֆոտոստանդարտ	Ե. Ձարյանի կողմից մշակված	593 73 07 63	
11.	կապի ֆոտոստանդարտ	Ե. Ձարյանի կողմից մշակված	27-09-46	Ե. Բաբայան
12.	կապի ֆոտոստանդարտ	Ե. Ձարյանի կողմից մշակված	599 05 57 13	Ե. Բաբայան
13.	կապի ֆոտոստանդարտ	Ե. Ձարյանի կողմից մշակված	599 28 55 23	Ե. Բաբայան
14.				
15.				
16.				
17.				